თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №3798454

ნომერი: AR1572527

თარიღი : 24.01.2018

გაცემის თარიღი : 01.02.2018

გაცნობის თარიღი : 01.02.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კაირო , N 15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ჩოჩია პ/ნ 01008004354
- თბილისი ლ.კავსაძის ქ. N 7ა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 29 სექტემბრის №2862787 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 24 იანვარს №AR1572527 განცხადებით მომართა ზურაბ ჩოჩიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 29

სექტემბრის №2862787 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საპროექტო ობიექტის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2016 წლის 29 სექტემბერს ქალაქი თბილისი, კაიროს ქუჩა №15-ში (ს.კ: №01.19.34.002.177) საწყობების და ოფისის განთავსების მიზნით დამტკიცდა №2862787 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 29 სექტემბრის №2862787 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში არასწორად მიეთითა საპროექტო ობიექტი, კერძოდ: 2016 წლის 28 სექტემბრის №AR1444194 განცხადებით მოთხოვნილი იყო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება საწყობების და ოფისის განსათავსებლად, ხოლო სამსახურის 2016 წლის 29 სექტემბრის №2862787 ბრძანებაში საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა ,,საწყობი, ოფისი''.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2016 წლის 29 სექტემბრის №2862787 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 29 სექტემბრის №2862787 ბრძანებაში, კერძოდ: საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს ,,საწყობები, ოფისი''.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 29 სექტემბრის №2862787 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 29 სექტემბრის №2862787 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.